დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 31„ო“ 17 ივნისი 2020 წ

კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების, უკუკავშირის მიღების,დამუშავებისა და რეაგირების მექანიზმი

შეტანილია სათაურში ცვლილება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ. 03 თებერვლის N 15 „ო“ ბრძანებით

1. კოლჯის მიერ დაგეგმილ კვლევებს, კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, აწარმოებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი შემდეგი ძირითადი მიმართულებით: მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრა; დამსაქმებლების მოთხოვნები და საჭიროებები; კურსდამთავრებულთა კმაყოფილება; კოლეჯის ბენეფიციარების მოთხოვნები, საჭიროებები და კმაყოფილებები.

2. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სამუშაო ჯგუფთან ან მის გარეშე, შეიმუშავებს სპეციალურ კითხვარს და აწარმოებს კვლევას, საჭიროებისამებრ, დაგეგმილი ინფორმაციის მოსაპოვებლად. იყენებს, კვლევისათვის საჭირო, კოლეჯის კუთვნილ ტექნიკურ საშუალებებს.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი გეგმის შესაბამისად აწარმოებს გამოკითხვებს: კოლეჯის სტუდენტების/ პროფესიული მასწავლებლების მოთხოვნების, საჭიროებებისა და კმაყოფილების შესახებ.
   3.1 პროფესიულ სტუდენტების მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი აწარმოებს სტუდენტების გამოკითხვებს მიწოდებული სერვისებით: პროფესიული სტუდენტების აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; ადმინისტრაციული მხარდაჭერის; არაფორმალური აქტივობების წახალისების და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის კმაყოფილების შესახებ;

შეტანილია ცვლილება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ. 03 თებერვლის N 15 „ო“ ბრძანებით

4. დირექტორის მოადგილე, კოლეჯის პერსონალის შემდგომი განვითარების მიზნით, წელიწადში ორჯერ, აწარმოებს პერსონალის საჭიროებების, მოთხოვნების და კმაყოფილების კვლევას.

5. კვლევის დასრულების შემდგომ, კვლევის მწარმოებელი პირი ან სამსახური, ამზადებს კვლევის ანალიზს წერილობითი ფორმით და წარუდგენს დირექტორს.

6. დირექტორის მიერ, კვლევის ანალიზი, თემის და შინაარსის და დანიშნულების შესაბამისად, დაეწერება ხარისხის სამსახურს ან შესაბამის სტრუქტურლ ერთეულს შემგომი რეაგირების მიზნით.

7. კვლევის დასრულების შემდეგ მიღებული ინფორმაცია და კვლევის დროს გამოყენებული და შეგროვებული მასალები(კითხვარები, აუდიო ჩანაწერები, ვიდეოჩანაწერები ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინახება კვლევაზე პასუხიმგებელ პირთან.

შეტანილია ცვლილება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ. 03 თებერვლის N 15 „ო“ ბრძანებით